ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წ.

ერთის მხრივ შპს "საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემები", Federal Express Corporation-ის და "TNT"-ის წარმომადგენლობა საქართველოში, შემდგომში "შემსრულებლად" წოდებული, მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ქ. # 25, ტელეფონი: 291-02-20; მისი გენერალური დირექტორის ნინო მენთეშაშვილის სახით და, მეორეს მხრივ კორეის საელჩო საქართველოში შემდგომში "დამკვეთად" წოდებული, მისამართი. ტელეფონი: 0322 97 0320 e.mail:-georgia@mofa.go.kr მისი წარმომადგენლის სახით შონია ცირა სახით, შევთანხმდით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი:

1.1 ეს ხელშეკრულება ითვალისწინებს შემსრულებლის მიერ დამკვეთის დავალებით დოკუმენტების და ამანათების (შემდგომში – გზავნილი) გადაგზავნას დამკვეთის მიერ მითითებულ მისამართზე, კურიერული და საექსპედიტორო მომსახურების ჩათვლით (შემდგომში – მომსახურება), იმ ტარიფების, გადაზიდვის პირობებისა და ვადების ფარგლებში, რაც წარმოდგენილია შპს საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემები"-ს მიერ, შეთანხმებულია დამკვეთთან და წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

გაწეული მომსახურების საფასური საერთაშორისო გზავნილებზე განისაზღვრება ხელშეკრულების დანართის შესაბამისად.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი:

2.1 დამკვეთს უფლება აქვს – მოსთხოვოს შემსრულებელს ინფორმაცია, მისი გზავნილის მოძრაობის მარშრუტის, ადგილმდებარეობისა და ადრესატისათვის ჩაბარების შესახებ.

2.2 დამკვეთს შეუძლია დააზღვიოს გზავნილი საკუთარი ხარჯით, რის შესახებ მან უნდა შეატყობინოს შემსრულებელს. (ტვირთის დაზღვევა შესაძლებელია, როგორც სადაზღვევო კომპანიაში, ასევე "საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემები"-ს ოფისში).

- საერთაშორისო გზავნილებზე დაზღვევის საფასური განისაზღვრება - ტვირთის ინვოისში მითითებული თანხის (ტვირთის საინვოისე ღირებულების) - 0.285 %-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ - 35 დოლარისა/ევრო (შესაბამისი კურსით ლარში), ფრანშიზა - 150 დოლარი/ევრო.

- შიდა გადაზიდვებზე მოქმედებს დაზღვევის შემდეგი პირობები:

ტვირთები ღირებულებით: < 1,000 აშშ დოლარი, სადაზღვევო პრემია: - 7,00 $ ფრანშიზა: - 70.00 $

ტვირთები ღირებულებით: 1,000-დან <10,000 აშშ დოლარამდე, სადაზღვევო ტარიფი: 0,20% აშშ დოლარი , მინიმალური პრემია: 12,5 აშშ დოლარი; ფრანშიზა: სადაზღვევო თანხის 1,5% , მინიმალური - 150 აშშ დოლარი.

2.3 დამკვეთი ვალდებულია:

- წინასწარ შეატყობინოს შემსრულებელს შეკვეთის არსებობის შესახებ; ამანათის, (არადოკუმენტის) გაგზავნის შემთხვევაში, მოამზადოს გზავნილის ტრანსპორტირებისა და განბაჟებისათვის საჭირო ყველა დოკუმენტი,

- წინასწარ მიაწოდოს შემსრულებელს ინფორმაცია გზავნილის რეალური წონისა და ზომების (სიგრძე/სიგანე/სიმაღლე - მოცულობითი წონა) შესახებ. (გზავნილის ტრანსპორტირების თანხა დაითვლება მოცულობითი და რეალური წონის შედარებისას მეტი წონის მიხედვით, მოცულობითი წონის გამოთვლის ფორმულა ექსპრეს-მომსახურებაზე: სიგრძე*სიგანე*სიმაღლე/5000, ხოლო ეკონომ-მომსახურებაზე: სიგრძე*სიგანე*სიმაღლე/4000).

- თანხმობის შემთხვევაში, ხელი მოაწეროს შემსრულებელის მიერ წარმოდგენილ, გაგზავნასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს: ზედდებულსა და ფაქტურას.

2.4 დამკვეთი ვალდებულია: მიუთითოს გასაგზავნ დოკუმენტზე ან ამანათზე მიმღების სრული და ზუსტი მისამართი, საფოსტო კოდი (საერთაშორისო გზავნილებზე), და ტელეფონის ნომერი. თუ ზემოთ აღნიშნული პირობა არ იქნა შესრულებული, შემსრულებელი ვერ იძლევა გარანტიას გზავნილის დროულად მიწოდებაზე და არ კისრულობს პასუხისმგებლობას მიწოდების დაგვიანების ან ჩაშლის გამო.

2.5 დამკვეთი ვალდებულია:

- ექსპორტისა და ადგილობრივი გადაზიდვების შემთხვევაში, მისთვის ანგარიშის წარდგენიდან 3 დღის განმავლობაში გადაიხადოს მომსახურების ღირებულება.

- იმპორტის შემთხვევაში, გზავნილის ტრანსპორტირებისა და დეკლარირებისთვის (კონსულტაცია-მომსახურება) განკუთვნილი თანხა გადაიხადოს ტრანსპორტირების დასრულების შემდეგ (ანგარიშის წარდგენისთანავე) წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული საბანკო რეკვიზიტების მიხედვით (ან ნაღდი ანგარიშსწორებით), გზავნილის ჩაბარებამდე.

2.6 შემსრულებელი უფლებამოსილია, დამკვეთს მოსთხოვოს თანხის გადახდა ხელშეკრულების 2.5 მუხლში მითითებულ ვადაში, ხოლო ვადის დარღვევის შემთხვევაში საქმე გადასცეს საქართველოს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს.

2.7 შემსრულებელი ვალდებულია აიღოს შეკვეთა დამკვეთთან შეთანხმებულ დროსა და ადგილას, უსწრაფესად და ყველაზე საიმედო გზით მიაწოდოს მიმღებს გზავნილები.

2.8 შემსრულებელმა დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად, უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის მიწოდება გზავნილის მარშრუტის, ადგილმდებარეობის და მიწოდების შესახებ.

3. მხარეთა პასუხისმგებლობა:

3.1 შემსრულებელს არ ეკისრება პასუხისმგებლობა დამკვეთის მიერ არასწორი ან არასრული მისამართის, საფოსტო კოდის, ტელეფონის, ან საკონტაქტო პირის შესახებ არასწორი მონაცემების გამო დაკარგულ, ან დაგვიანებულ გზავნილებზე. თუ მისამართი შეიცავს მხოლოდ საფოსტო ყუთის ნომერს, მაგრამ არ არის მითითებული საკონტაქტო პირი და მისი ტელეფონის ნომერი, მისამართი არასრულად ითვლება და გზავნილი ვერ გაიგზავნება. ასეთ შემთხვევაში შემსრულებელი აცნობებს ამის შესახებ დამკვეთს და მოქმედებს მისი შემდგომი მითითების შესაბამისად (მისამართის დაზუსტება, შეცვლა, გზავნილის უკან დაბრუნება).

3.2 დაუზღვეველი გზავნილის შემსრულებლის მიზეზით დაკარგვის შემთხვევაში, ის ვალდებულია დამკვეთს უფასოდ გაუგზავნოს ანალოგიური გზავნილი, ან დაუბრუნოს მის მიერ გადახდილი თანხა.

3.3 ანგარიშსწორება წარმოებს ამ ხელშეკრულების დანართში მითითებული ფასებით. ამ ხელშეკრულების ყველა დამატება და ცვლილება შეიძლება იქნეს შეტანილი მხარეებს შორის წერილობითი შეთანხმების შემთხვევაში.

3.4 დამკვეთის მიერ ამ ხელშეკრულების 2.5 პუნქტით დადგენილ ვადაში

მომსახურების ღირებულების გადაუხდელობისას, მას დაეკისრება ჯარიმა - გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით, ყოველ გადაცილებულ დღეზე.

3.5 შემსრულებლის მიერ 1.1 პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, მას დაეკისრება ჯარიმა - გზავნილის ტრანსპორტირებისთვის გადასახდელი თანხის 1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

3.6 სადაო საკითხები, რომელიც წარმოიშობა ხელშეკრულების ირგვლივ, უნდა მოგვარდეს ურთიერთშეთანხმებით და, თუ ეს შეუძლებელია, სასამართლოს/არბიტრაჟის მეშვეობით.

4. დასკვნითი დებულებები:

4.1 ფორს-მაჟორული გარემოებების გამო, თუ ასეთს ექნება ადგილი და ისინი აფერხებენ ხელშეკრულების პირობების შესრულებას (ხელისუფლების მოქმედება, ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, ომი, ბლოკადა და ა.შ.), ხელშეკრულების მოქმედება ჩერდება ზემოთ აღნიშნული მოვლენების ლიკვიდაციამდე.

4.2 ხელშეკრულება დადებულია ერთი წლის ვადით და ავტომატურად გრძელდება იმავე ვადით ყოველ ჯერზე, თუ რომელიმე მხარე წერილობით არ განაცხადებს უარს.

4.3 ხელშეკრულების გაუქმების შემთხვევაში, მეორე მხარეს უნდა ეცნობოს წერილობით, ერთი თვით ადრე.

ხელშეკრულება შედგენილი და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

5. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

შპს "საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემები"	კორეის საელჩო საქართველოში
ს/კ: 204885810	ს/კ :205313864
რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
"თიბისი" ბანკი: ცენტრალური ფილ.	თიბისი ბანკი
ბ/კ: **TBCBGE22**	ბ/კ: **TBCBGE**
ა/ა:GE47თB0600000022467240	ა/ა: GE69TB7877536180100001
გენ. დირექტორი:	წარმომადგენელი
ნ. მენთეშაშვილი	---------